საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/139 “ 20 ” დეკემბერი 202 2 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ბებიას გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში არსებული მოსამართლის ერთი საშტატო ერთეული ვაკანტურია. აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნამდე მიზანშეწონილად ჩაითვალა უფლებამოსილების განსახორციელებლად მოსამართლის მივლინება და 2021 წლის 17 დეკემბერს სასამართლოში მივლინებულ იქნა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე ბებია.

ვინაიდან, ზემოთ მითითებული მივლინების ვადა გადის 2022 წლის 24 დეკემბერს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად წინადადებით მიემართა კვლავ მოსამართლე ეკატერინე ბებიას. 2022 წლის 15 დეკემბერს მიღებულ იქნა მისი თანხმობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 24 დეკემბრიდან 2023 წლის 25 დეკემბრამდე:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე ბებია მივლინებულ იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. ეკატერინე ბებიამ იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი